დარბაზში ქრება სინათლე... ფარდა იხსნება. მთვარის მკრთალ შუქზე გამოჩნდება მშვენიერი ქეთევანი (რესპუბ. დამსახურებული მსახიობი თ. ლასხიშვილი), ისმის უძველესი ფსალმუნის ჰანგები. დრამატურგს წარმოდგენის დაწყებისთანავე შევყავართ იმ დროის მოვლენათა შუაგულში. მაყურებლის წინაშე დგანან ტრაგიკული ბედის ადამიანები; ქეთევანი თითქოს განსახიერებაა ქართლის ბედისა, ყოველივე იმ საუკეთესოსი და წმინდისა, რაც ბოროტებას დაუჩაგრავს და შეუვიწროებია და რაც უნდა დაბრუნდეს მიწაზე, რათა ერი შკვდრეთით აღდგეს; მაყურებელი ღრმად განიცდის როგორც ამ ქალიშვილის, ისე მარინეს ბედს (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქ. კოლხიდელი); მარინე ქართველი დედაა, რომელიც მოგლიჭეს თავის საყვარელ სამშობლოს და, როგორც მონა, საჩუქრად გაუგზავნეს სულთანს. აქვეა კეთილშობილი რაინდი კირიონი (მსახიობი ა. ხერხაძე) — შგზნებარე ჭაბუკი, გამსჭვალული რენესანსის მოწინავე იდეებით; მათ უპირისპირდებიან ბნელი ძალები, რომლებიც ვერაგობისა და ცბიერების ხლართებს ქსელავენ. საინტერესო სახეა ალექსანდრე ბატონიშვილი (რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ა. ქელბაქიანი).

მაყურებლის წინაშე არიან ცოცხალი ადამიანები, რომელნიც სწორად გადმოგვცემენ იმ ისტორიულ ეპოქას, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ. აქ ყოველ გმირს, იქნება ეს ჯარისკაცი თუ სარღალი, თავადი თუ მისი მსაზური, თავისი სათქმელი აქეს. თავისი ბასიათი და თვისებები გაიბნია. პიესაში ბალბი მტწვი და უსიტყვო როლია, ეს ბალბი შებრძოლია, მშენებელი, მეოცნებე, ბრძენი, მკაცრი და სამართლიანი; კარგად არის გიდაწყვეტილი ებზოდი, როცა ბაქარ-დაში შემოლის სექმაზე, შემოდის ამალით, ბალბი ქედს ობრის მის წინაშე, იწყება ფაშას ტრაბაბი, მურზაყეს მოწოდება, ჩააბგება და ამოძაზება.

რეჟისორმა ბაგრატ მეშვიდის როლი სრულიად ახალგაზრდა მსახიობს ვ. ოყრეშიძეს მიანდო. მსახიობმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. ვ. ოყრეშიძე სცენაზე უშუალო და უბრალოა. მისი ბაგრატი, მშვენიერი ჭაბუკი ყურადღებას იპყრობს ხალხის სულის ორმა ცოდნით, მასთან დაახლოების სურვილით; უსაზღვროა მისი სიყვარული სამშობლოსადმი, ხალხსაც ამიტომ უყვარს იგი. ბაგრატს არ შეუძლია გულგრილად უცქიროს, როგორ ილრჩვება სისხლში ქვეყანა, და ქაბუკი ოცნებობს სათაყვანო დიდ სიწმინდეთა დაბრუნებაზე, რათა "ისევ ჭეშმარიტების მოყვარე ხალხი ალიზარდოს". "ჩვენ, სამშობლოს ერთგულებს, გვწამს გამარჯვება, რადგან თვით სიყვარული არის იმელი" — ბაგრატის ამ სიტყვებით მთავრდება ეს dagle os of shal dala egessthay; sasing sestტურებს ქეთევანისა და კირიონის სიყვარული; თვით სიკვდილიც ვერ ერევა იმას, რის სათქმელადაც ისინი მოსულან ქვეყნად; სიყვარულისა და სათნოების დამარცხება შეუძლებელია, თვით ცოდვილნიც ძრწიან მათი სიდიადის წინაშე.

ამ ისტორიული დრამის "ბაგრატ შეშვილის" დადგმით ქუთაისის თვატრმა კიდეგ ერთხელ გა" დაგდამიდა წარსულში, გვიჩვენა საქართველოს ნამდვილი ისტორია, თქვა ახალი სიტყვა, გამოამზელბა ჩვენი ხალბის შინაგანი სულიერი სიწმინდე და კეთილშობილება.

8. 8386340



სცენა სპექტაკლიდან "ბაგრატ მეშვიდე".

CUSWERPERS COURSCRAPME

მე ისევ იმ ბერმუბას გიგონებ, ბერლინის უნივერსიტეტის ეზოში მდგოსარის

პირველი მსოფლიო ომის დროს, ჩვენს უნივერსიტეტში სწავლას განაგრძობდა ჩემი მეგობარი კურტ პაიერ, რომელმაც ორივე თალი დაჰკარგა ომში. იგი ყოველდე მომყავდა მის საუვარელ ძაღლს, გერმანულ ცხვრის ძაღლს ჩიმგორს.

გახაოცარი ის იყო: ბექტორი მუხის ქვეშ უცდიდა ბატრონს. რომელიმე ჩვენთაგანი კურტს მივგვრიდით ბექტორს და ეს საყვარელი ცხოველი შინ წაივანდა ბრმას. ესეც ერთი ტრაგიული ნოველლის ტემა.

გეშმარიტად, ჩემის აზრით პირველი გენიოსი იგი იყო, ვინც პირველი ძალლი მოაშინაურა.

ამიტომაც მიყვარს მე ძალლები. უძალლოდ ცხოვრება მე არ შემიძლია, ევროპაში მუდამ მუაგდა ძალლი, ჩემი დიასახლისები ხშირად დამითხოვდნენ ხოლმე პანსიონიდან, ძალლიანი მდგმური ძნელი ასატანიაო.

შირანდამ მოხოვა, პოტადამს წასვლამდის პერგამონის მუზეუში დავათვალიეროთო. მე მრავალი წლის მანძილზე დამითვალიერებია ბერლინური მუ-

ზეუმები, მაინც გავყევი.

აგერ რომის ბატონობის ეკმინდელი ექსპონატები. ესეც უზარმაზარი თავი რომის იმპებატორის ტაქრინები. მას ცალი თვალი ამოჩიჩქნილი აქვს, ცხვირი და ტუჩ-ბირი ჩალეწილი, მაგრამ იმ მეორე ლია თვალიდან ისე გიცქერის, გეგონება შეგენიტყვებათ.

დიდ არს ხელოვნების ძალა! რამდენ საფკუნეთა ქარიშბალს გაუძლო ამ ცხვირმომტერეულმა იმპერატორმა! გეშმარიტად სგეხედნიერი ყოფილა კეთსარი ტროიანე, მას მხოლოდ ცხვირი ჩაულეწეს, აბა შემდგომ საუკუნეებში ენახა თავშაქრილი იმპერატორები და მეფეები.

სავსებით იმპოზანტურია დიდი საკურთხეველი პერგამონული ბურგბერგისა. მარმარილოს უზარმაზარ ბლოკებს შეხჭიდებიან ღმერთი დიონისოს და სატირები.

გვარიანად შემონაბულა მზის ღვთაების ჰელიოსის ეტლი, ოღონდ ეგაა

ცხენს ცალი ფები მოსტებია. ერთ-ერთ ფრიზს ამშვენებს ქორზე ამხედრებული მთვარის ღმერთქალი ელენე, რომელსაც თანამედროვე ჩვენი ქალების დარად დავარცხნილი აქვს

თავიხი მშვენიერი კულულები.

. .

ბერლინში მირანდას აჩუქეს დიდის გემოვნებით გამოცემული წიგნი "ბერგამონ ბურგბერგ უნდ ალტარ". წიგნს დართული აქვს დიდის გემოვნებით დაწერილი მონოგრაფია და კომენტარები ელისაბედ რბოდეს მიერ შედგენილი.

ბურგბერგი ნიშნავს ციხე-ქალაქის მთას. ამ ფოტოს მნახველს მე მიმგზავრია საბერძნეთში, ეს მშვენიერი ქვეყანა ვასაოცრად მგავს ჩვენს საქართველოს.

შესანიშნავია პერგამონის თეატრის ფრიზი: ვაჟკაცი შუბს აჩრის გაბოროტებულ გველს ბახაში.

კარგად შენახულა სავსებით იმპოზანტური, მარმარილოსაგან გაკეთებული შესავალი დარბაზი, რომელსაც აშშეენებს ბერძნული ლამაზი წარწერა: "ბაზილევე ცვენე ათინაი ნიკიფოროი" — მეფე ეუმენესმა (აუგო) გამარქვებათა მომნიგებელ ათინას.

ხააშურად სახილველია მარმარილოს ძეგლი პართენონელი ათინახი. მის მშვენიერ სახეს ოდნავ აუშნოებს მომტვრეული ცხვირი.

ბტწყინაგენ და ვარვარებენ მეფესტეინის მოზაიკები, ისეთი ბასბასა ფერი აქვს მათ, თითქოს გუშინ შეუქმნიათო.

ბერლინში მიბრუნებულს შე ახეთი ფიქრები დამებადა: მე მგონია, დიდი შეცლომაა, როცა ერები ზოგიერთ გმირს საკუთარი ისტორიისას ისეთ ღვაწლს მიაწერენ, რაც მათ არამც და არამც არ დაუმსაბურებიათ.

მე ახლაც არ მესმის რად შეარქვეს ფრიდრის II-ს "დიდი". იგი იყო ფრიად ექსცენტრიული და უგუნური პოლიტიკონი. უშინარეს ყოვლისა, პირწავარდნილ, კოსმოპოლიტი. მას არ უყვარდა თავისი მშობლიური გერმანული ენა, კანტის, ფოეტის შილლერისა და შოქემაუფრის ენა.

კაფით, გუცეტი, ალლდელ უკუნუბი პოლიტიკა აუსტრიის მიმართ, ომი გაუმან აწაჩმოვა უოვლად უკუნუბი პოლიტიკა აუსტრიის მიმართ, ომი გაუმართა აცსტრიის იმბერატრისსას მართა ტერეზას. პირად ცმოვრებაშთაც თუვლად უწესო კაცი იუთ, ულამაზება მეულდე მკავად და თავის მწეგრებთან ცხოვრობდაც ეს პირდაპირ პარალოქსული ამბავია სასახლის წინა ეზოში თქვენ შენიშნავთ ფრიდიბის მწეგრების საულავებზე დაგებულ ლოდებს, ამ ძალლების სახელები მე არ მინდა აქ წარმოვადგანო.

საგხებით გაუგებარია ჩემთვის, გერმანელი დიდი მწერლის, თომას მანნის წიგნი: "ფრიდრიზი და დიდი კოალიცია". ისტორია უსასტიკესი განმკითხველია, არგის შეერჩება ის დაფნები, რომელთაც მათ დაადგამენ ბოლმე თავზე მლიქვნელი მეისტორივნი.

ალიყვილი აეიატიოოციო ჩვენ გვიან მივბრუნდით ბერლინში და უვახშმოდ დავისვენეთ, დავიღალეთ ამდენ საუცხოვო სანახაობათა მხილველნი.

· გაგრძელება. იხ. "დროშა", № 7.



ფრიდრიბისეულ სასაბლის ბაღში რამდენიმე შაშვი ვნახეთ, და ფრიად გავისარეთ, ისინი ისე მოშინაურებულნი უოფილან, სულ აბლოს მიმიშვეს.

პერგამონის ექსპონატების გამო კიდევ ბევრი რამ ითქმის, მაგრამ დავიკანცეთ, ხვალ მივემგზავრებით პოტადამს, იქიდან დრეზდენს და ბოლოს გოეტეს ვაიმარს უნდა გეწვიოთ.

19 ნოემბერს დღის 10 სააოზე გელოდით ჩვენს ახალ მდივანს, ლარისას, რომელიც ამ დღიდან ჩვენთან უნდა უოფილიუო გიდის მაგივრად. ტელეფონის წკრიალი გაისმა. ტაქსის მძღოლი გვთხოვდა ჩამობრძანდითო.

მირანდა შეწუბდა, ასე იგარაუდა: ლარისას ბავშვი გაუბდაო ავად.

პოტსდამში მე არაერთხელ ვუოფილვარ, გავიხარე ამ მშვენიერი სასახლის ხელახლა ხილვით.

უწინარეს ყოვლისა, ჩემს შკითხველს უნდა განვუშარტო ფრიდრიბის სასახლის სახელწოდება, "სანსუსი" — უზრუნველი. ასეთივე სასახლე ჰქონდა ჩვენს დავით აღმაშენებელს ნაჭარმავევში, სათამაშო სასახლე, რომელიც შეშუსრეს ჩვენმა შტრებშა. სანსუსის კომკს გარს არტყია შესანიშნავი პარკი.

სასახლის მოლიან ხტრუქტურაში უხვად გამოუენებულია იმჟამინდელი ფრანგული არქიტექტურის მრავალნაცადი ტრადიციები.

სანსუსის მთავარი ნაგებობანი ემყარება გეორგ ვენცედუსისა და კნობელხდორფის ესკიზებს.

საყურადღებთა ვესტიბული "სალონ ა ლა იტალიენ" (შაიმარილოს დარბაზე ერმე იწყება სააუდენციო დარბაზი, საკონცერტო, სამუშაო და საძილო დარბაზები.

1745 წელს იზეიმეს გალერეთას გასსნა. დიდ დარბაზონში თვალისმომჭრელია ტასტზე მგდომარე ომის ღმერთის მარმარილოს სტატუა. იქვეა ადამი, რომელიც ფსასსოგრია ფრიდრისისათვის საფრანგეთის მეფეს ლუი XV-ს.

ჩვენ გაგვაოცა და შეგგზარა ერთ-ერთ დარბაზში ჩვენი თანამემამულის მედეას განრისხებულმა სახემ, როგორი საშინელი სანახავია მედეა, როცა იგი თავის შვილებს ხოცავს.

მედეა გეშმარიტად სამარცხვიზო ტიპია, რომელიც დირსი ირ არის ახსენო ჩევნს უბარყინვალებს მანდილისნებიან. გვულასხმობ, ბიზანტიელ იმპერატ-იბასა, დავთი აღმაშენებობის მაშიდან მარიამს, ჩევნს სათავვანებელ თამარბა და ქტივან დედოფალბ. მედეამ თავისი მამა შეარცხვინა, საშშობლო დააგლი, ბოლის დაისანა, როგორის ტინებატი.

მეთვისმეტე საუკუნეში როგორც მიელს ევრობაში, ისე გერმანიაში კარაად ეფლებოდნენ ბერძნულსა და ლათინურს. მაგ დალოცეილ მსატკირს მატკითსა ბამანგითს იმმერიტორის ალექსი კომნენის საულის, შესანიშნაც ისტორიკოსის ანნა კომნენას ბიწყონვალე ეფემერიდებო "ალექნაიდა", სადაც დადი აგვალი აქვს მიკუთვნებული იმეტიტიბისა მარიამ ბაგრატიონს, მის დად სათნოებას და შეუფარებელ ბილაბუს, რომელოც ბამლაფდა როგორც ბიზანტიის, ისე ევრობის იმჟამინდელ არისტოკრატიას. ბოლოს, როგორც ცმობილი, მარიამ დედოფლის პორტრეტი ინახება XII საუკუნიდან დღემდის გატეკნზე

მარიაშის დგთაებრივი სახე აღბეჭდილია გელათის ტაძრის გუშბათის შიგნით, იგი უბრწყინვალესი მოზაიკითაა შესრულებული.

მე ვიცნობ მთელი საქრისტიანოს უდიდესს ძეგლებს და ასეთი ბრწყინვალე ქმნილება არსად მინაბავს.

იშვიათ სანახაობას წარმოადგენს ფრიდრიბის საკონცერტო დარბაზი. ბორტრეტები, პორტრეტები და გრცელი პანოები, რომელთა აღწერა ჩვენ დიდ დროს წაგვართმევდა.

მრავალი მოოქროვილი ავექი ფრიდრიბის სიკვდილის შემდეგ ბერლინის მუზეუმებში გადაუტანიათ.

ხაინტერესოა ვოლტერის დარბაზი, სადაც იგი ქმნიდა და ოცნებობდა. არსებობს ლეგენდა, როცა ვოლტერის მეფესოან საუბარო და წერა მოსწვინდებოდა, ქსოვას მიყოფდა ხელს (იმ ებოქაში დიდგვაროვანი მამაკაცებიც ქსოვდენ თურემ მოცალეობის ჟიმს).

333350 3608080636 Prayyour

-- მე ოთხი მილიონი პატარა შავი dმა მყავს. როცა ისინი შეკითხებიან, ვინ იყო დედაჩემი, მე ვუპასუხებ, წმინდა ღვთისმშობელი-მეთქი, ხოლო როცა მამაჩემის ვინაობას მეკითხებიან, ვეუბნები, თვითონ მე ვარ მამაჩემი-მეთქი, — ახე განაცხადა ერთხელ ჰაიტის პრეზიდენტმა ფრანსუა დიუვალიემ, განაცხადა და თავისი 'სიტუვების დასადას_ ტურებლად პრესაც მოიშველია. სულ მალე გაზეთებში დაიბეჭდა ფოტომონტაჟი — დიუვალიე შკვდრეთით აღმდგარ ქრისტეს გვერდით. პრეზიდენტს მხარზე გადაეხვია ხელი "იესოსათვის".

ლექსიკონებში შამანი განმარტებულია როგორც tomalaho, ahdenmeno, ahbodago. ahbodagaa jo არ შეიძლება არ ითაღლითოს. ასე იქცევა დიქტატორიც. "ყველაზე თავისუფალ და ყველაზე ქრისტიანულ" დასავლეთ ნახევარსფეროზეც კი დიდმაც და პატარამაც იცის, თუ ვინ არის დიუვალიეს სისხლიანი დიქტატურის ნამდვილი მამა. იგი ძია სემი გახლავთ. სწორედ ამერიკული იმპერიალიზმის შემწეობითა და ლოცვა-კურთხევით აღმოჩნდა დიუვალიე 1967 წლის სექტემბერს ჰაიტის პრეზიდენტის სავარძელში.

"ის ჰაიტელი, რომელსაც არ უყვარს ფრანსუა დიუვალიე, მთელი ქვეუნის დაუძინებელი მტერია". ამ სიტუვებს თითქმის უოველდღე წაიკითხავთ ჰაიტის ოფიციალური გაზეთების ფურცლებზე. "მე ახალი ჰაიტი ვარ, — ქადაგებს დიქტატორი, — მე რომ მომსპონ, მოისპობა მაიტიც. მე მაიტის დროშა ვარ, ერთიანი და განუუოფელი, მე დემოკრატია ვარ..."

ქერ ისევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, 1804 წელს, ფრანგ კოლონიზატორებთან ბრძოლაში ლათინური ამერიკის ქვეუნებიდან მაიტელებმა პირველებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა, მაგრამ დღემდე მაინც ვერ შეძლეს ესარგებლათ მისი სიკეთით. "დამოუკიდებელი" არსებობის 164 წლის მანძილზე 89 პრეზიდენტიდან მხოლოდ ხუთმა შეძლო ქვეყნის მართვა თავისი რწმუნების ვადის დამთავრებამდე. დანარჩენები ჩამოაგდეს ან დახოცეს. ჰაიტს უკვე ჰუავდა ორი იმპერატორი, ერთი მეფე და რამდენიმე პრეზიდენტი "მთელი სიცოცხლის ვადით", მაგრამ ისეთი, როგორიც დიუვალიე გახლავთ, თვით ჰაიტელებსაც კი ჩერ არ უნახავთ.

მთელი სიცოცხლის მანძილზე პრეზიდენტად თავის გამოცხადება, წამება, ჩამოხრჩობა, აბუჩად აგდება — აი როგორ გამოიყურება დიუვალიეს დემოკრატია, რომელსაც ასე თავგამოდებით უმღერენ საგალობლებს უოლსტრიტელი და ვაშინგტონელი ტრუბადურები.

ჰაიტელთა დიდმა უმრავლესობამ არ იცის წერაკითხვა. მათ არც ფრანგული იციან, თუმცა ეს ენა აქ ოფიციალურ ენად არის გამოცხადებული. ისინი ლაპარაკობენ ფრანკო-აფრიკულ დიალექტზე, რომლისაც თითქმის არც ერთ ფრანგს არა გაეგება რა, და ამავე დროს მაიტი — "ანტილის კუნძულების მარგალიტია", როგორც ამას იუწყებიან ლამაზად გაფორმებული ტურისტული პროსპექტები. ისინი მოუწოდებენ მდიდარ უცხოელებს ეწვიონ "მაიტურ სამოთხეს", სადაც მათ "ნეტარება მოე-

მაგრამ, როგორც ყოველთვის, დიუვალიე მტკნარ სიცრუეს ქადაგებს. ნეტარების მაგივრად ჰაიტში უგზოობა, გაჭირვება, სამეურნეო ანარქია სუფევს; პორტ-ო-პრენსი — ჰაიტის დედაქალაქი სავსეა უსახლკარო მათხოვართა ბრბოებით, რომლებიც ლუკმაპურისათვის მზად არიან ყოველგვარი დანაშაული ჩაიდინონ. დაღამდება თუ არა, მთელი მაიტი იძირება ღრმა წუვდიადში, მხოლოდ აქა-იქ, ფანკარაში ძლივს ბჟუტავს ჭრაქი ან (ეს უკვე ფუფუნებაა) ნავთის ლამპა. ელექტროსადგური ამერიკულ კომპანიას ეკუთვნის. მარტო ერთი ელნათურისა და უთოსათვის მაიტელმა თვეში 40-50 დოლარი უნდა გადაიხადოს. მაგრამ ეს მეტად ფანტასტიკური თანხაა მისთვის. უთო და ნათურა მარტო მდიდარი კაცისთვის არის ხელმისაწვდომი.

მალარია და ტუბერკულოზი ქრონიკულ შიმერთად მუსრს ავლებს კუნძულის მკვიდრთ. მრავალ ჰაიტელს თავის სიცოცხლეში არც ერთხელ არ უგამია არც თევზი, არც ხორცი. ქვეუნის უოველ 10 ათას მცხოვრებზე მოდის 0,7 ექიმი, სოფლად კი 1 ექიმი მხოლოდ 75 ათას კაცზე მოდის. ჰაიტელის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა 82 წელს არ აღემატება, გარდა ამისა, იხოცება ახლადდაბადებულ ჩვილთა ნახევარზე

სამაგიეროდ, აბა ინახულეთ პრეზიდენტის მრავალრიცხოვანი ვილები, აგარაკები. დიქტატორის ოფიციალური ხელფახი წელიწადში 24 ათახი დოლარია, არაოფიციალურად კი იგი ჩინებულად ახერხებს ხელქვეითთა ქიბიდან კიდევ რამდენიმე ასეული ათასი დოლარის ამოქაჩვას. ამ მიტაცებულ ფულს პრეზიდენტი გულმოდგინედ ინახავს შვეიცარიის ბანკებში. კაცმა რომ თქვას, არც ტუუილად იჭერს წინდაწინ თადარიგს.

ერთხელ როგორღაც ჟურნალ "იუნაიტედ სტეიტედ ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა" განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს დიუვალიეს რეჟიმის მიმართ "კეთილგანწუობილი, მაგრამ ფხიზელი პოზიცია უჭირავთ". და თუმცა დიუვალიეს მდგომარეობა ქერქერობით მტკიცეა, ეს მაინც არ გამორიცხავს იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს მჩხიბავი-პრეზიდენტი იმქვეუნად გაამგზავრონ. როგორც ყოველთვის შეერთებული შტატები მზად არიან ყოველ წუთს ჩაერიონ მაიტის ცხოვრებაში "წესრიგის აღსადგენად".

ასეა თუ ისე, დიუვალიე არც ფიქრობს პრეზიდენტის სავარძლის დატოვებას.

რამდენიმე წლის წინ მან საკუთარი თავის უკვდავსაყოფად დედაქალაქ პორტ-ო-პრენსიდან ოცდაათიოდე კილომეტრზე დაიწყო ახალი "სამაგალითო" ქალაქის — დიუვალიევილის მშენებლობა და... ისევე აუშენებელი მიატოვა. ახლა ლიევილი თავისი დაუმთავრებელი, ბალახმოდებული და ნახევრად დანგრეული სახლებით გადაქცეულია მკვდარ ქალაქად.

არმიის და პოლიციის გარდა, პრეზიდენტს საკუთარი გვარდიაც ჰყავს. ესენი გახლავთ სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ჟანდარმები ე. წ. ტონტონ-მაკუტები. ისინი ყველაზე უკეთ არიან შეიარაღებულნი და უველაზე მეტ "გასამრქელოსაც" იღებენ. მათ ნება დარიული იქურდონ, ძარცვონ, დახოცონ. ამ გზით იზრდება მათი შემოსავალიც და არსებული რეჟიმისადმი "ლოიალობაც". -დიქტეტორი არცა ფარავს დავის სურვილს, რომ მისი ტონტონ-მაკუტება "ველურებად" გამოიჟურებოდნენ, სულ ციატა ხნის წინ მან განკარგულება გასცა ზემოეზიდათ ქვეყანაში მათ ძე-დუნის ციტატების კრებულები. დიუვალიეს განზრახული აქვს ამ კრებულების მეოხებით "კულტურული განათლება" მისცეს თავის ტონტონ-მაკუტებს.

ძველი ჰაიტური გადმოცემების მიხედვით, ტონტონ-მაკუტები ავი სულებია, რომლებითაც მოზრდილები ბავშვებს აშინებდნენ. დიუვალიემ ხორცი შეასხა ამ სულებს ისე, რომ ახლა მოზრდილებსაც. ეშინიათ მათი.

დიუვალიე განათლებით ექიმია, მაგრამ მჩხიბავივით მოქმედებს, იყენებს "ბნელი ძალების" ძალაუფლებას. იგი ავრცელებს ხმებს, თითქოს ვუდუ უოვლის მხედველი და უოვლის მომსმენი მითოლოგიური არსება—ყველაფერს თვალყურს ადევნებს და უშუალოდ პრეზიდენტის კანცელარიას ატუობინებს, რომ თითქოს სულები ხანგრძლივ სიცოცხლის უწინასწარმეტუველებენ პრეზიდენტს, რომ ურჩებს თავს დაატყდებათ ტყეებისა და წყლების უველა ბოროტი სულის რისხვა.

რა თქმა უნდა, რომის პაპის საბრძანებლომ ვატიკანმა გვერდი არ აუარა ასეთ მკრეხელობას და "წმინდა ღვთისმშობლის" თვითმარქვია შვილი ქრისტიანულ ეკლესიას მოჰკვეთა. დიუვალიეს კი დიდხანს არც უფიქრია და თავი გამოაცხადა "აფრიკული ღმერთების დიდ შთამომავლად", რომელიც ჰაიტელი მესიის სახით მოევლინა ქვეუნიერებას. ჰაიტელთა საშინელი უწიგნურობა და უვიცობა ეხმარება და საშუალებას აძლევს მჩხიბავ-პრეზიდენტს უფრო ადვილად მოატეუოს ხალ-

როგორც ყველა გალათი, დიუვალიეც იძულებულია კარგამოკეტილმა იცხოვროს. თვეების მანძილზე იგი არ გამოდის თავის სასახლიდან, გვერდიდან არ იშორებს რევოლვერს, ხოლო იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა სადმე მიემგზავრება, მაშინ თავის აღჭურვილობას კარაბინსაც უმატებს, თავზე კი ფოლადის მუზარადს იხურავს.

პრეზიდენტის სასახლეში ერთი წუთითაც არ წუდება ოქახური ჩხუბი: დიქტატორის ერთ-ერთმა სიძემ, პოლკოვნიკმა დომინიკმა რაღაც შეთქმულების მაგვარიც კი მოაწყო, დიუვალიემ გასანათლულ თოკზე ჩამოკიდა მეამბობე ოფიცრები, პოლკოვნიკი კი გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში გაგზავნა სამხედრო ატაშედ. თავი რომ სამშვიდობოზე დაიგულა, დომინიკმა შვეიცარიაში მოკურცხლა, თან თავისი ცოლიც—დიუვალიეს ქა. ლიშვილი — და ხიდედრიც წაიყვანა. მაგრამ ინტრიგები მაინც გრძელდება. პრეზიდენტის ახლობლებიდან თითქმის ყოველი მათგანი უმიზნებს მის "სანუკვარ" სავარძელს.

იავის დროზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ნიკარაგუელ დიქტატორს ანასტასიო სომოსას ერთობ ზუსტი დახასიათება მისცეს: "ძაღლის შვილია, მაგრამ ჩვენი შვილია". იგივეს თქმა შეიძლება და არა ნაკლებ საფუძვლიანად ჰაიტელ მჩხიბავდიქტატორზეც.

€. ১გულაძე

JENCOLI JENILI JER, JENER

რამდენიშე დღის ჩასულები ვიყავით თეირანში. ქართველი ინჟინრების გაედი უნდა შეესწავლა ირანის რამდენიშე მდინარე შელიორაციის თვალსაზირასით აღაშო ხანი იყო, სამუშაოდან აზლად დაბრუნებული ჩემს ნიშერში ვისუკუთდი. ტელეფინმა დარეკა, უურმილი ავიღე და სასტუმრო "ნადერის" ადმინისტიტირის, ხმა გავიგონე: "აქ ერთ კიკს თქვენი ნახვა უნდა გაუგია, რომ გურჯი ინჟინრები ხართ ჩამოსული, თუ ინებებთ და მეც ნებას მომცემთ, გადავცემ უყრმილს", გადაცით-შეთქი, ვთხოვე.

— ფერეიდნელი ქართველი ვარ, მურთაზი, თქონი ნახვა მინდა, — გაისმა

ყურმილში.

სასწრაფოდ ჩავიცვი და ვესტიბულისაკენ გავემართე. კიბეებზე ჩავდიოდი და თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი. ამ დროს ერთი ახალგაზრდა, შავგვრემანი ყმაწვილი კაცი წამოვიდა ჩემსკენ და გადამეხვია.

ვესტიბულში მყუდრო ადგილი მოვძებნეთ და დავსხედით. დავიწყეთ მუ-

Longo.

— პო, ძალიან კარგია, რომ ჩუენთან მოხედით გურჯები, ორი წლის წინათაც იყნენ აქ ნოდარი, ვლადიმერი, რუსლანი, ჯემალი. შენც გნახეთ იმ გამოფენაზე, — მითხრა მან.

1965 წელს საბჭოთა კავშირის სამრეწველო და საგაჭრო გამოფენაზე ხუთი კაცი ვიყავით მივლინებული საქართველოდან თეირანში. კარგად დავუხსომე-

ბივართ მურთაზს.

— ქართულად რომ ლაპარაკობ, ძალიან კარგია, ჩემო მურთაზ, მაგრამ წე-

რა-კითხვა თუ იცი-მეთქი, — ვკითხე.

— როგორ არა, ორი წლის წინათ ქართველებმა რომ დედაენის პირველი ნაწილი დაგვიტოვეს, იმით ვისწავლეთ წერა და კითხვა. მაგრა დიქშენერი (ლექსიკონი) არა გოქს და სიტყვები არ გვესმის ხანდახან.

შე ვუთხარი მურთაზს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღშოსავლეთმცოდნეთბის, ინსტიტუტი ამზადებს სპარსულ-ქართული და ქართულსპარსული ლექსიკონების გამოცემას და დავპირდი, როგორც კი გამოვა, გამოგიგზაენით-მეთქი.

— მაშინ სინემაც (დიაფილმები) გამოგიგზავნეთ საქართუელოზე. იქ მაინც ნახოთ ჩუენი ქუეყანა. საფჰესაც (ფირფიტა) თუ გამოგიგზავნით ქართული

სიმლერებით, საჭიროა ჩუენთვინ.

მალე ჩვენი ინჟინრებიც მოვიდნენ — გიორგი მიქელაძე, მერაბ ბერელაშვილი, სილოვან ლორთქიფანიძე. მათაც გადაეხვია მურთაზი და ერთად გავა-

გრძელეთ საუბარი.

ამის შემდეგ ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან ფერეიდნელი ქართველები: მურთაზი, მუპამედი, ჰასანი და სხვები. ჩვენს შორის დამყარდა შეგობრული, თბილი, მჭიდრო ურთიერთობა. საღამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ დიდ-

ხანს ვიჯექით ხოლმე სასტუმროში და ვსაუბრობდით.

რა თქმა უნდა, უქირთ ფერეიდნელებს ქართულად ლაპარაკი. თუ კაცმა (თტა მაინც არ იცის სპარსული, სმულა დაუმებს მათ, რაღგან მათი მეტყველება ძალიზა გადატერობული სპარსული სიტყვებით. მაგალითად, ფერეიდნელი ამბობს: "ფერეიდანი დიდი მაპრაა" (მაჩრი—ქალაქი, მხარე): "დღეს კაუთი არა გაქთ" (დღეს დრო არა გაქვთ) და სხვ. გარდა ამისა, ზოვი გართული დი, ანელია მიხვედრა. მაგალითად, "კოლაში წავლობდი, ერთი წეთი დავადა, დი, ანელია მიხვედრა. მაგალითად, "კოლაში წავლობდი, ერთი წეთი დავადა და" — ე. ი. "კალოლაში გაწავლობიდი ერთი წეთი ჩამოვარები"; "შენ დღეს დაშვრი, ვალი წაიდეთ ჩონთან სახჩი" — "შენ დღეს დაიღალე, მაგრამ მაინც წამოდი ჩემთან სახლში"; სიტყვა "დეცყრებიან".ში გულისმმობენ "შეიკობიტებიან"-ს და სხვ.

თეირანში მყოფ ფერეიდნელ ქართველიაგან მეტად ათინერესო ბირთვან გასანი. იგი გარეგნობით, თავისი გრძელი სახის ნაკვთებით და ულკოშებით ნამდვილი ქართველია. მართალია, მას საშვილო სკოლა არ დაუმთავრებია, სულ ოთხი კლასის განათლება აქეს, მაგრამ იგი სულით ჰოეტია. იგი ლექებს, წერს სპარსულად "ხშიზიად ლექსი ცშვითბის ცორის მომივა თავში და მაშინვე ფინქარსა და ქაღალდს მიემართავი". ქართული ლექსიკის სიდარიბისა და გრამატიკის უციდინარობის მთუხედავიდ, ჰასანი ქართულადაც (დილობს ლექსის შვითაზგას. მან ერთხულ მოგვიტინა კიდეც თავისი ლექსი. აი, ისიც:

> ლმერთშა მინდა მალირსოს, რაც რო კარვი საქმე იყოს, კარგი ჩემთში რო იქნების? ნახვა ჩონი თბილისი. ჩემ სიცოცხლე თბილისში, შე კი ვცბოვრობ მატკოფში, ჩემ წერელი ჩემოდნებს, ვინც თბილისში ცხოვრობდებს, ჩემ ზელ არცა არ უნდა

Bahdon 1960 Eabys as and ho.

Botas 30100 Managomena.
Bonas of 1960 Sandan 196

კარგად იყნეთ თბილისში. საოცრად გულის ამაჩუყებელია ამ ხალხის დიდი სიყვარული სამშობლოსაღმი, შშობლიური ენისაღმი, რომელიც სამ სიუკუნენახევრის განმავლობაში შიანარჩონის

ფერეიდანი, ანუ, როგორც მას ფერეიდნელი ქართველები უწოდებენ, ფერეიდუნშაპრი (ფერეიდნის მხარე), ან ახორე ოლია (ზემო აბორე) მდებარეობს ქალაქ ისფაჰანის დასავლეთით და მისგან 180 კილომეტრითაა დაშორებული.

აქ ბევრ მთას და წყაროს ქართული სახელი ჰქვია.

ფერეიდნელების ძირითადი საქშიანობპ სოფლის მეურნეობაა. მოჰყავთ: ხორბალი, ქერი, ოსპი, მუხულო. მიწის დამუშავება გუთნით ხღება და მაქართულ სახილს გუთანის "წუდებებ. ფერეიდნელები თესავენ განსაკეთრებული კიმის წთიელი ფერის ხორბალს, რომელიც აღგილობრივ პირობებთანაა შეგტებული და კარგად იტანს ყინვას. პერის დამუშავება "კალობე" ხდება და ეს სიტყავის მმარებაშია. ასევე შემორჩენილია ზოგიერთი საწარმოთ თარადის ქართული სახელებია "ცხრათითი", "ფიწალი", "კევრი", "ნიჩაფი", "ცხავებრილ" და სხვ.

საინტერესოა, რომ ფერეიდანში კარაქის დამზაღება ხღება განსაკუთრებული წესის მიხედვით. ფერეიდნელი ქართველების თქმით, ამგარი წესი მათ არსად ენახავთ. საუურადღებოა ისიც, რომ ხისაგან დამზადებული სადღვები, რომელშიაც მოთავსებულია კარაქის მისაღები შასალა, 2000 რიალი ლირს და მისი გაკითება მხოლოდ ქართვილ დურგლებს შეუძლიათ. ფერეიდანში დამახაღებულ კარაქს ისფამანელები ძლიერ ეტანებიან და თუ სხვა იდგილიდან შემოტანილ კარაქში 200 რიალს აძლევენ, ფერეიდნულ კარაქში 250 რიალ-

საც არ იშურებენ.

ყველა ფერეიდნელი, რომელსაც კი შევხვდით, აღნიშნავს, რომ ფერეიდნელ ქართველთა გეონომიური მდგომარეობა ძალიან მძიმეთ. მათ ხშობად უხდებათ სამოფიზზე წასვლა არა მარტო ისფამანსა და შირაზში, არამედ თეირანშიც. ზოგი ფერეიდნელი ქართველი მისდეც მეწვრილმანეობას: ისფამანიდან ჩამოაქეს საქონელი და ნისიად აძლევს გლეხებს მოსავლის აღებაშდეგლები მოსავლის აღების შემდეგ ვაჭარს ნატურით უზდის ვალს — ხორბლის, ქერის, მატულის, ან ცხვრის სახით.

ფერეიდნელი ქართველები მისდევენ მეცხოველეობასაც.

ფერეიდნელ ქართველებს ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ ქართული გვარების ძირი სპარსული სახესხვაობით, მაგალითად, ასლანი, ფერეიდნელთა თქმით, ასლანიშვილია; ყაფლანი — ყაფლანიშვილი; გუგუჩანი გუგუშვილი და სხვა. აქვთ ისეთი გვარების, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთი ქართულ ძირთან, მაგრამ თვითონ იციან თავიანთი ქართული გვარი. მაგალითად, "მოყადასი", მათივე თქმით, რუბიტაშვილი (ალბათ, რობიტაშვილი) ყოფილა, "ქარიში" — გოგიჩაშვილი და სხვა.

ფერეიდნელ ქართველებს კარგად შემორჩენიათ ქორწინებასთან დაკავშირებული ქართული ტერმინები: "ნეფე", "სიდედრი", "სიმამრი", "ნეგოვი" (ეგიბი—მეგვარე) და სხვ. საინტერესოა, რომ ფერეიდანში, გათხოვილ ან განათხოვარ ქალს "ცოლს" ესახიან, განურჩევლად იმისა, ჰყავს მას ქმარი, თუ არა. ხოლო გასათხოვარს — "ქალს", როცა ისინი ამბობენ "ცოლი მოგიდა"-ო, მარტო იმას კი არ გულისხმობენ, რომ მისი ან სხვისი ცოლი მოგიდა, არამედ იმასაც, რომ გათხოვილი ქალი მოვიდა.

ფერეიდნელებს დღევანდლამდე შემორჩენიათ ქართული ანდაზები და გა-

მოცანები. მოგვყავს ზოგი მათგანი: "ქლს ევნიებ, რო ზალმა გიგოსო"; "ვარიას თავის კერცხი უკირსო"; "ცხვარი მუდამ ერთ მატკლში არა ირჩება"; "შიში მაჩვენა და გაქცევა გაჩენო"; "წინათ კაწი მეორეს ხიდიიო"; "ვირი რო წიხლს გესრისო, ფები არ უნდა მაჭრიაო"; "მელას რო ჩონ საბძელში ბატყები დაუყრია, ამ ჩონ ძალლის გლაზობით არისო".

უყურებ ფერეიდნელ ქართველებს, ისმენ მათ ქართულს, გრძნობ მათ დიდ ინტერესს საქართველოსადმი და მათდაში დიდა აპტივისცემის გრძნობით იმსქვალები. გინდა, რომ ყველაფერი უამბო მათ სამშობლოზე. გებადება სურვილი, რომ ერთხელ მაინც აჩვენო მათ ჩვენი წარმტაცი ქვეყანა, რომლის შესახებ მხოლოდ ქართველი სპეციალისტებისაგან გაუგონიათ ზოგი რამ. ისინი მტკიცედ ჩასქიდებიან თავიანთ ენას და ცდილობენ შეინარჩუნონ იგი, რათა "აფშირი არ დაჰკარგონ თავიანთი წინამარების სამშობლოსთან.

> ზშრაზ შარაშმნ0ძმ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი



— ერთი წუთით მაჩვენე, გენაცვალე! — სთხოვა ქალმა ბიჭუნას. ქალს ორი გოგონა ახლდა. ბიჭი შეკრთა, მერე მოწიწებით მიაწოდა ქალს რალაც საგანი, საგულდაგულოდ შეხვეული ქალალდში.

ქალმა ქალალდი გადახსნა, გოგონები გამოცოცხლდნენ.

— რა არის, დედიკო? — ერთდროულად იკით-

— კუ! რამოდენაა! პირველად ვხედავ ასეთ ვე-

იბერთელა კუს. ქალმა კუ მიწაზე დასვა. იგი მძიმედ გაბობღდა

ქვიშნარზე. ქალი იღიმებოდა, გოგონებმა ჩაიმუხლეს და თითებით ეფერებოდნენ კუს. ბაღში სასეირნოდ გამოსული, მოდურად თმა-

შეკრეგილი ქალ-ვაჟიც შეჩერდა, მალე მოხუციც გამოჩნდა, ხელში კრიალოსანს ათამაშებდა. უველანი ცნობისმოყვარეობით დააცქერდენ ზლაზვნით მიმავალ ცხოველს.

კუს პატრონი ბიჭი ცდილობდა მჭიდროდ შეკრული წრე გაერღვია, მაგრამ ცნობისმოყვარენი ელობებოდნენ.

- კაი ხელაზე გაზრდილა, გაიკვირვა ერთმა.
- ჩატუნტულებულია, დასძინა მეორემ.
- დედიკო, დედიკო, ნახე, სად მიძვრება? — გაზონებში სიარული აკრძალულია! — იხუმრა ვილაცამ.
- რა მოხდა? კითხულობდნენ გამვლელნი და კუს გარშემო თავმოყრილთ უერთდებოდნენ. — კუ? მე კი რალაც მეგონა... — მოწყენით თქვა

gomaga8.

ბიქმა ერთხანს იწრიალა, შემდეგ დრო იხელთა, კუ აიტაცა, გაზონი გადასერა და წავიდა.

— მირიან, ის ლაწირაკი რას მიათრევს? ჰკითხა თენგიზმა მეგობარს, რომელიც გადაწოლილიყო და სიგარეტს აბოლებდა.

— 806 300, → გასძახა მირიანმა, — მოდი აქ! ბიქმა გზა განაგრძო, თითქოს არაფერი გაუambos.

- არ გესმის? — ხმას აუწია მირიანმა.

ბიჭმა დამფრთხალი თვალები მიაპურო, შეყოვნდა, წაუყრუა, თითქოს შემთხვევით მოეხედოს. მირიანმა კვლავ გასძახა:

— შენ გეუბნებიან, მოდი აქ!

ბიჭი მორჩილად მიუახლოვდა ახალგაზრდებს, შორიახლოს დადგა. კუ ხელიდან ხელში გადაინა-

— რა გინდა, მირიან, დაანებე თავი! — abmaლა ამოილო ხმა მესამე მეგობარმა, ნიკომ, რომელსაც რატომღაც "ფილოსოფოსს" ეძახდნენ.

— რას ქვია დავანებო თავი! — აგდებულად უპასუხა მირიანმა და თენგიზს მიუბრუნდა, ბიჭზე აჩვენა: — შეხედე, ეტყობა დედიკოს შვილია! მირიანმა სიგარეტის ნამწვავი ზურგს უკან წკიპურტით უმისამართოდ ისროლა და მერხიდან Valmovos.

— ეგ რა არის? — ჰკითხა მან ბიჭს.

- 401

— დახე, კუ ყოფილა! — გადაულაპარაკა მირიანმა თავის მეგობრებს.

 ძირს დასვი, აბა ვნახოთ როგორ დადის, უთხრა ბიქს თენგიზმა.

კუმ თათები გამომყო და ზანტად გაბობღდა. — ტანკივით არ მიბობლავს?! — შენიშნა თენ-

20883. — ახლა გარეკავს! — მირიანმა გამხმარი ქოხი

ფეხზე დააბქინა კუს. კუმ ფეხები და თავი სწრაფად შესწია.

— შეი, ტუტუც, ხად მიძვრები?! — დახძახა თენგიზმა.

ბიჭი შეშინდა, კუ ხელში აიყვანა და წასვლა და-

— მეჩქარება, — თქვა ბიქმა, — მამა მელოდება. — ნახეთ, ეჩქარება! — გაიცინა მირიანშა. — ეხ აუ სად მოიპარე?

 არ მომიპარავს, მამას ჩამოუყვანეს ბათუმი-— დასვი მიწაზე! — ბრძანების კილოთი უთხ-

რა მირიანმა. — გეხმის რას გეუბნები?! ბიჭმა კუ მიწაზე დახვა.

კუმ ისევ გამომყო ფეხები და გაბობლდა. მირიანმა ქოხი წამკრა და გადააბრუნა.

— თუ ვაჟკაცია, ასე ისეირნოს!

— იცი, რა მაგარია კუს ბაკანი? — ჰკითხა მეგობარს თენგიზმა, — ზედაც რომ შედგე, ვერ გატეხავ.

— მაგას კი არა, რკინას გავლუნავ! — თქვა მი-602582

- babadman, abo bobjamo magob jenboajom! წააქეზა თენგიზმა.

ბიქმა კუ აიტაცა და წასახვლელად გაიწია. ბიქი რომ მიდის? — სინანულით თქვა მიmos58s.

— დაიცა, მერე წაიყვანე, — უთხრა თენგიზმა.

— მამა მელოდება!

— არა უშავს, დაგიცდის, — უთხრა თენგიზმა.

- უნდა წავიდე!

მირიანმა ქონი ამომკრა და კუ გააგდებინა. ბიჭი დაიხარა, მირიანმა ხელი ჰკრა, ბიჭი დაბარბაცდა, კინალამ მიწაში წამკრა ცხვირი.

- მირიან, რა გინდა მაგ ბიჭისაგან! — ისევ გაეძრახა "ფილოსოფოსი". მირიანმა დაცინვით გახედა მას, არაფერი უპასუხა. მერე ცალი ფეხით შედგა კუზე და რამდენქერმე ჩაბუქნა. კიდევ და

— ახი ხინკალი შენზეა, — მიაძახა თენგიზმა. — ეს რა ყოფილა?! — გაკვირვებული იყო მი-

რიანი. — ალბათ, ტყვიაც გერ გახვრეტს.

კუ ისევ გაბობოდა.

— ჰაერში რომ აისროლო, ნეტავ, კიდევ იქნება სიარულის გუნებაზე? — იკითხა მირიანმა, მაშინვე დაავლო კუს ხელი და ჰაერში აისროლა. ბზრიალტრიალით დაენარცხა კუ ქვიშაზე. მირიანმა ჭვინტი ამომკრა და გადმოაბრუნა. კუ ისევ გაბობღდა. — რას შვრებით, მოკვდება! — შემყვირა ბიჭმა

და კუსთან მიიჭრა. — შენ კიდევ აქა ხარ? აკი მეჩქარებაო? — უთ-

bés 8060368s. — მამა მელოდება! — ვედრებით თქვა ბიჭმა.

— რა კაცია მამაშენი?

— დურგალია. — მეკუბოე?

— დურგალი! — გაიმეორა ბიჭმა.

— კუს ხელი გაუშვი, თუ არ გინდა... — დაე-8mins anhasta.

— მამას ვეტუვი! — დაიქადნა ბიჭმა.

— დედასაც უთხარი! აბა, მოუსვი აქედან! უბრძანა მირიანმა

თვალცრემლიანმა ბიქმა დაიწია უკან. გარშემო მიმოიხედა. მერხთან მოხუცები შეკრებილიყვნენ ლა დომინოს თამაშობდნენ. მოშორებით ბავშვებს დაასეირნებდა დედა. მოასფალტებულ მოედანზე ბიჭებს ფეხბურთი გაეჩალებინათ. განმარტოებით მჯდარი, სანდომიანი მობუცი შენიშნა ბიქმა, ქიქურ Bondés po bobes:

- ბიძია, კუ წამართვეს აი იმ კაცებშა, უთხარით რა, დამიბრუნონ!

მოხუცმა გაოცებით შეხელა ბიგს — რაო, რაო? — ნაეკითხა. ბიქმა განუმეორა თხოვნა.

- 399 hobo 399 ბიჭი დაუყოვნებლიც მიიგრა შუახნის ქალთანე რომელიც თამაშით გართულ გოგონას უთვალთვალებდა და ახლა მას მიმართა თხოვნით, დამე-6836nm.

ვიდრე ბიჭი მშველელს ეძებდა, მირიანმა და თენგიზმა ახალი სანაძლეო დასდეს: ჰაერში მერამდენე ასროლის შემდეგ კუ აღარ გამოჰყოფდა ფეხს.

– ათამდე გაუძლებს, — თქვა მირიანმა. — თუ მეტნ გაუძლოს, ხინკალი შენზე იყოსI —

უთხრა თენგიზმა.

მირიანმა ბურთივით აისროლა კუ ჰაერში. ყოველი ახროლის შემდეგ ორივენი მივარდებოდნენ კუს და ელოდნენ, ფეხს როდის გამოყოფდა. მეცხრე ასროლის შემდეგ კუმ კიდევ შეანძრია ფეხი. მირიანმა იგრძნო, რომ სანაძლეოს აგებდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჰაერში შესტყორცნა. კუმ მაინც გამომყო დასისხლიანებული ფეხი და გაფორთხდა.

— ხინკალი შენზეა! — გახარებული იყო თენ-

ბიჭმა შინისაკენ მოჰკურცხლა. მამა არ დახვდა შინ. ეზოში გაიჭრა, ძია დათოს მიაკითხა, მაგრამ როცა არც ის დახვდა შინ, მეგობარ ცქვიტასთან

მიირბინა და თავისი გასაჭირი უამბო. — ცქვიტა, ცქვიტა, — იცრემლებოდა ბიჭი, —

კუს ჰკლავენ, მიშველე რამე!

მეგობრებს კიდევ რამდენიმე ბიჭი შეუერთდა მათივე ეზოდან და უველანი მაშინვე ბალისკენ გაიქცნენ.

ბაღში აზარტი გრძელდებოდა.

– თუ კუს ბაკანს გაუტეხავ, ის ასი ხინკალი ჩემზე იყოს! — გამომწვევად თქვა თენგიზმა.

 საქმეა, რით გატეხავ! — უპასუხა მეგობარმა. რა თქმა უნდა, არა ჩაქუჩით და უროთი, განმარტა თენგიზმა.

- მაშ კბილებით დავამტვრიო? — ჰკითხა მი-603583.

– რატომ კბილებით, ხელით და ფეხით!

მირიანმა მსხვილ ხეზე შეაჩერა თვალი. დაიხარა, კუს დასწვდა და ხეს ესროლა. ბაკანი არ გატყდა. მაგრამ დარტყმის დროს ბგერა შეიცვალა. მირიანმა კიდევ უფრო თავგამოდებით იხროლა კუ.

Bambo, Bmoam babadenna. Bohoabo Byonoo Booga, ამაყად გაიჭიმა. თენგიზმა დაუდასტურა, რომ კუს ბაკანი სამ ადგილას გატეხილი იყო.

მირიანი დინქად მიუახლოვდა მსხვერპლს, დახედა, შემდეგ ჭვინტი ამოჰკრა და გაზონისაკენ გაpasson.

ქალი, წინდებს რომ ქსოვდა, წამდაუწუმ იცქირებოდა ახალგაზრდებისაკენ. გოგონაც ვერ უდებდა გულს სათამაშოს. მოირბენდა, ბებიას კალთაში ჩასდებდა თავს და კითხულობდა: "უკვე მოკლეს კუ?"

საყელომოღელილი მირიანი მერხზე გადაწვა, სიგარეტი გააბოლა და თქვა:

— სანაძლეოს განაღდება უყვარს!

— რას ვიზამ, წავიდეთ, აბა, "ფილოსოფოსო," შენ ხომ მზამზარეული გიყვარს ყველაფერი, არ

- არა, თქვენ წადით! — ჩაიბურტყუნა ნიკომ. - ეშმაკსაც წაულიხარ! — უთხრა მირიანმა და მერხიდან წამოდგა.

ბაღის ფართო ლია ჭიშკარში ბიჭები შემოცვივდნენ, ძლივს სუნთქავდნენ.

ქავქავაძის ცნობილი პოემის shomoly Bossono sagno, გახიზნული ბღაჭიაშვილი, როგორც ცნობილია, რეალურად არსებული პიროვნება იყო. ილიას ნათესავი კოხტა აფხაზი თავის მოგონებაში აონიშნავდა: "კაკო გახლდათ ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩალად გავარდა. იმალებოდა ალაზნის ტყეში... ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსას, კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი; რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხავს: "ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო?" ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩალს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც".

ილიამ თავისი შესანიშნავი პოემა "კაკო ყაჩაღი" ამ კარდანახელი გლეხის მწარე და უკუღმართ ბედს მიუძ-

ღვნა.

პოეტისა და ტყეში გაჭიილ ყშაგლების ამ შეხვედ-ბის ამბავი დიდი ბანია (სნობილი იყო. მაგრამ გაუხარაშვილის ვინაობა ჩვენ დაწვრილელის (ტოვრებაში" დაიბექდა ალ. მღვლიაშვილის წერილი "ილია კარაგაზში". მაშში გამთომქული იყო მოსაზიება, რომ გაუხარაშვილი ეს იგივე კარდანაბელი იგანე ჩალათაშვილია. ამ წერილში კვითხელობთ:

"1938 წლის ზაფხულის ერთ დღეს მე და ჩემი ძმა ვკითხულობდით ახალგამოცემულ ჩეგნს "ილია "გავხვაძის მოღვაწეობა". როცა იმ ადგილამდე მივცით, რომელიც კარდანახის გაზე ილიასა და გაუხარაშვილის შეხვედრას, ეხება, მამამ შეგვაჩერა და ხელმეორედ წავვაცითხა ის ადგილა.

— ჩემს ყმაწვილობაში, — გგითხაა გამამ, — ლაპარაკობდნენ ყმა გლეხზე, რომელმაც შერი იძია რომელიდიც თავად ვაჩნაძის ოჯახზე და ტყეში გაიჭრა, მე კარგად მახსოვს, ამ გლეხს სახელად გაუხარო ერქვა, ხოლო გვარად ჩალათაშვილი იყო: ჩეენ ხელთ გვაქვს გაუხარაშვილის, იმავე ჩალათაშვილის შთამომავლის იოსებ ჩალათაშვილის ჩანაწერები. მასში ვკითხულობთ:

"Bobbonal Andly domomondo an go ჩემი უმცროსი ძმა ალექსი (სამამულო ომის დროს ფრონტზე დაიღუპა), მამას ვეხმარებოდით ვენახის დამუშავებაში: ვენახის ბოლოს დიდი კაკლის ხე გვედგა. აი ამ კაკლის ხის ჩრდილში, სადილობისას მამამ დალია წინაპრების სადღეგრძელო და გვითხრა: მამაჩემი იოსები ცნობილი კაცი იყო, განთქმული მოჭიდავე, ციხეში მოკვდა; პაპაჩემი ივანე უფრო სახელოვანი ადამიანი ყოფილა, არსენასავით კაცი, დაჩაგრულის შემწე და მფარველი, ბატონებისა და მეფის ჩინოვნიკების დაუძინებელი მტერი. კაბუკობისას მას თავისი მეზობლის — გოგებაშვილის ლამაზი ქალიშვილი შეჰყვარებია და ცოლად შეურთავს. მებატონე ვაჩნაძეს პირველი ღამის უფლება მოუთხოვია, თავმომწონე ვაჟკაცმა ეს იუკადრისა, ბატონსა და ყმას შორის შეტაკება მომხდარა და ივანეს ბატონი მოუკლავს. ამის შემდეგ ივანე ყაჩაღად გავარდნილა. ვაჩნაძეებს კი მისი სახლ-კარი გადაუბუგავთ. მისთვის ხალხს გაუხარაშვილი შეურქმევია, რაკილა ასე გამწარებული და გაუხარელი ცხოვრება ჰქონია. მისი ამბავი აიღო ილიამ თავისი პოემის თემად, ოღონდ სახელიც შეუცვალა და გვარიც, ივანე ჩალათაშვილი კაკო ბლაჭიაშვილის სახელით გამოიყვანა".

ყაჩაღად გასულ ივანეს ღარჩა ერთი შვილი, სახელად იოსები, რომელიკ ივანეს სახლ-კარის გაღაწვის შემდეგ ნათესავებმა წაიყვანეს და გაზარდეს. შემდგომში ის მოჭილავე გაზმდარა, სახედით ასპარეზზე გამთდიოდა გაიოზ კახელის ფსევლინიმით; სხგათა შორის, მას უჭიდავნია კულა გლანელთანიე.

იოსებ ჩალათაშვილი, იგივე გიიზი, მამის გზას გაჰყვა; იგი ებრძოდა
მეფის ხელ-სეფლების და მის თავაშვებულ მოხელეებს, რომლებიც
გინწროვებდენ გი აწიოკებღნენ
ხალხს, იოსების მოქმედება მეფის
მოხელეებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. 1914 წელს მათ ციხეში ჩაშუყვიდეს იოსები და წოეყენეს ბრალდებანი, გათვალისწონებული 251
მუხლით, რაც რვა წლიდან 10 წლა-

SULIC STEDIES CARACTER STEDIES





ალექსი ჩალათაშვილი.

ambad homomo Baama.

ჩამორთმევას ითვალისწინებდა. ამ მუხლის მიხედვით ასამართლებდნენ პოლიტიკურად არასაიმელ პირებს, რომლებიც არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებდნენ და ხალხს აგანყებისაკენ მოუწოდებდნენ.

იოსებს დარჩა ერთი შვილი გიორგი; ეს იყო უბრალო გლეხკაცი, ბეჯითი და გამრჯე მშრომელი, მოწინავე კოლმეურნი იგი გარდაიცვალა ამ ოცდათიოდე წლის წინ.

უგელაზე საინტეტესო მთელ ამ ამბავში ის არის, გიორგის შვილები, ანუ კაკო აგახილს შვილები, ანუ კაკო აგახილს შვილები შვილები — იოსებ და ალექსი ჩალათაშვილები მამაცუტად იბრძოდნენკისტი-ოფიცერი იოსებ ჩალათაშვილი კილმობდილი დაბრუნდა ფრონტიდან, მისი ძმა, რიგითი მებრძოლი ალემსი ჩალათაშვილი გმირულად დაეცა ბრძოლის კელზე.

როგორი საგულისხმო ამბავია! ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ ილიას, აკაეის, ვაჟის გმირთა შთამთმავალნი მუდამ იცავენ წინაპირთა ტრადიციას და ვაჟკალურ შემართებას იჩენენ ბრძოლაშიც და შრომაშიცო. ეს თურმე ფიგურალური თქმა კი ირ ყოფილა, ირამედ ჩვენი - დაგმიანების
დოკუმენტური ბიოგრაფია: კაკოს
გორც თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი, ხოლო მისი შვილიშვილები — იოსები და ალექსი ასევე
მამაცურად ებრძვიან შემოსეულ
მტერს და თითქოს მარტო კაკოსა და
ზაქროს კი არა," საბჭოთა არმიის
საც ეხებათ დიდი ილიის სიტყვებია

— შენი გამჩენის გირიმე, შენი! ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა

დამშვენი... შენ დაგიკვებოს შენმა მშობელმა, რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია. აი დალოცოს ის ქრისტე-

ლმერთმა ვისაც შენებრი დამბადებია!

ასე უშუალოდ არის გადაწნული ურთიერთშორის ჩვენი ლიტერატურის ისტორიაც და ჩვენი ხალხის ყოფაც.

ᲐᲚᲔᲥᲡ**ᲐᲬ**ᲓᲠᲔ ᲡᲘᲒᲣᲐ

წელანდელი ბიჭი წამის უმალ მიიჭრა მირიან-

სად დაიკარგე? — ჰკითხა მირიანმა.
— ალბათ, მამიკო ინახულა. რაო, მაინც რა გითხრა მამიკომ?! — დაცაინვით ჰკითხა თენგიზმა.

— სად არის ჩემი კუ? — გამომწვევად იკითხა ბიგმა.

— შენი ჭირი წაიღო, — დაცინვით უთხრა მირიანმა და თენგიზს თვალით ანიშნა წასულიყვნენ. — სად არის ჩემი კუ? — უკვე გაბრაზებით მიმართა ბიჭმა.

— ნახეთ, ეს ლაწირაკი იმუქრება კიდეც! შენიშნა მირიანმა და ალმაცერად შეათვალიერა ალესილი ბიჭები.

— ის ჩვენი კუ იყო, სად წაიღეთ? — შეუტია სქვიტამ.

— აბა, აითესეთ ახლავე აქედან! — გასძახა თენგიზმა. — სანამ კუს არ დამიბრუნებ, არ წავალს განუცხადა ბიჭმა.

მირიანმა მსუბუქად გაჰკრა ფეხი ბიგს, მაგრამ მან ხელით დაუჭირა ფეხი, გამოსწია და მირიანი მიწაზე გაიშხლართა. ცქვიტამ ქოხი დაიხელთა და თენგიზს ქანგებზე სთხლიშა.

მირიანი სწრაფად წამოხტა. ბიჭს სილა სტკიცა. მერმე ყურში წაავლო ხელი და აუწია.

— gao დედა! — იბლავლა ბიჭმა.

სამი ბიჭი—გური, ვახო და კახა აქამდე შორიდან უთვალთვალებდნენ, ახლა კი მოახლოვდნენ. ვურიმ სილა მოახვები მუბით, გამოეგნან და მირიანს თვალებში შეიყარა. გურიმ კიდევ მოხვებსილა და თენგიზს მივარდა. დანარჩენები "ფილოსოფოსა" შემოებდივნენ.

"ფილოხოფოსმა" იკადრა გაქცევა. მირიანი

თვალებს იწმენდდა, და ნელი ნაბიქებით იბევდა უკან. თენგიზი ამაოდ იგერიებდა გაცოფებულ ბიგებს.

— სად არის ჩემი კუ, სად არის?! — არ ეშვებოდა ბიგი მირიანს.

მაგრამ მირიანი უკვე შორს იყო, სანაპიროსაკენ მირბოდა. თენგიზი და "ფილოსოფოსი" ძუნძულით მისდევდნენ უკან.

დიდბანს ეძებეს ბიჭებმა კუ და ბოლოს, როგორც იქნა, იპოვეს, მაგრამ ის უკვე შკვდარი იყო. ბიჭმა მაინც არ დახტოვა კუ, ფოთლებით გაწმინდა და სახლში წამოიღო. დერეფანში ეგდო კუ ორი დღე, მერე მამამ გამოწმინდა, გაასუფთავა ბაკანი და სახადილო ოთაბში ქედელზე ჩამოჰკიდა.

a. ფოცავერაშვილი '





ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ

მეორე მხოფლიო ომის დროს გერმანიის სადაზვერვო სამსახურის მთარგმნელმა დაუშვა თითქოს უმნიშვნელო შეცდომა, რომელმაც დიდი არეულობა გამოიწვია; პიტლერელმა მზვერავებმა შეიტუვეს, რომ რუზვილტი და ჩერჩილი მალე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს კასაბლანკაში მთარგმნელმა სიტუვა-სიტუვით თარგმნის დროს კასაბლანკის მაგიერ დაწერა თეთრი სახლი (კასა ბლანკა); ამგვარად, ნაცისტურ ბელმძღვანელებს აცნობეს, რომ ბრიტანეთის პრემიერი მიემგზავრებოდა ვაშინგტონში, სინამდვილეში კი იგი აფრი-Jado Bogomgs.

გამხეცებულმა ჰიტლერელებმა მთარგმნელს საკონცენტრაციო ბანაკში უკრეს თავი.

ᲐᲜ ᲤᲣᲚᲘ. ᲐᲜ ᲡᲣᲚᲘ

მილანელმა ბიზნესმენმა ანტონელო ენელომ მიილი მუქარის ბარაოი, რომელშიც უცნობი განგსტერი მას კატეგორიულ წინალადებას აძლევდა: ან დაწიშნულ ადგილზე დაცდო ნასეგაბი მილიინი ლირა, ან არადა სამუდამოდ გამომშვილობებოდა თავის ერთადერთ გაჟიშვილს--

ბიზნესმენმა ეს ამბავი პოლიციას აცნობა. დაოქმულ ადგილზე ჩააფრებულმა პოლიციამ დააკავა ბოროტგანმზრაბველი. ბიზნესმენის გაოცებას საზღვარი არ- ჰქონდა, როცა მას ბოროტგანმზრაბველი მიჰგვარეს მის წინ იდგა მისდვე თერთმეტი წლის ვაჟიშვილი პიეტრო.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲒᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ქალექ ოპორტოში (პორტუცალი) პოლიციცილებმა სისხამ დილიო საწოლიდან კინწისკერით წამოაგდეს მოსაპართლე მანფილ აღალკა და ქალაქის ციბეში მითყვანეს. რამდენიმე მისაპართლე მანფილ კალეკა და ქალაქის ციბეში მითყვანეს. რამდენიმე მდა: საქმეებით დატვირთულმა მოსაპართლემ იმ აღამიანოა სიაჩ, რომლებიც უნდა დაეპატიმრებინათ, დამნეულობის გამო, თავისი გვარი მოლოში კი არ მიაწერა, არამედ თურმე შიგ დამნაშავეთა სიაში ჩაფროთ და ამით გაგვარგულება გასცა მავისი თავის დაპატიმრებაზა

ქალაქში დიდხანს იცინოდნენ ამ ამბავზე და ამბობდნენ, რომ ვალეკან ყველა განკარგულებათა შორის ეს ყველაზე უფრო ბამართლიანი და სწორი იყო.



0603 8MQ0506 858M

ეს ამბავი ლონდონის ქუჩაზე ხდება. ბანში შესულ ქალბატონს იხე მოეწონა აბალგაზრდა ქალიშვილის კაბის ფასონი, რომ იქვე სინქვა დაუწყო, თანაც შეეკითბა:

— ქალიშვილო, სად შეაკერინეთ ეს კაბა...

— სცდებით, ქალბატონო, მე ბიჭი ვარ!

ოძროს ბბბზბნბ

იაპონიის მდიდრულ კურორტ ფუნაბარაში დადგმული ოქროს აბმაან ფულის მონეცბა უებარი წყარო გამოდგა. სამი წლის მანძილზე ამ აბაზანაში "ქვითელი ემმაკის" მოთვარელმა 300 ათასზე მეტმა კიკმა და ქლმა იბანავა. ყოველი მათაგანი ბანაობაში 8 ათას იენს იზღილა; ამრივად, ოქროს აბაზანამ ბის მფლიბელებს აურაცბელი სიმდიდრე შესძინა.

პრესის ცნობით, სხვებზე მეტი აზარტით ოქროს აბაზანისკენ ამერიკელი ტურისტები მიიწევდნენ. ქალებიც და კაცებიც დედიშობილა იღებდნენ ფერად ფოტოსურათებს
ოქროს აბაზანაში.

აგარამ ოქაროს აბაზანის არსებობის სამი წლის ისტორია მარტო ასეით, იდილიური" ამბებით როდი ამოიწურება. ძვირფასი აბაზანის დასაცავად მისი მფლობელები იძულებული გაზდნე პოლციელების მთელი შტატი დაექირავებინათ; გამოირკვა, რომ ზოგიერთი მობანავები აბაზანის საბოცში დამალულ ხერბს იღებდნენ და (დღილობდნენ "სამახაოვრო სუგენირი" სამოცებებისა თბანანიდან.

დაკაწრული, დაჩეჩქვილი და დაზიანებული აბაზანა საბელოსნოში წაიდეს შესალამაზებლად და შესაკეიიბლად

ხმები დადის, რომ ასეთი დიდი მოგებით თავბრუდახვეული ფუნაბარის აღმინისტრაცია ფიქრობს შესასყლო ბილეთები გაჟიდოს ოქროს უნიტასების მომხმარებელთათვის.

ᲗᲮᲐ ᲗᲮᲐᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ...

როგორც ესპანური ჟურნალი "სემანა" იუწყება, იტალიის პოლიციამ ვერასგზით ვერ შეიპყრო ყაჩალი გულიანი, რომელიც სიცილიაში და-8262987თარეშობს. როცა იმედი 3060306 bajagos დათ, იტალიის სამინისტრომ ბანდიტის თავი 400 sorah macham Bongaba, Baghad ahu ქულიანი დარჩენილა ვალში. თავზე ხელაღებულმა უაჩაღმა ამ სახიფათო მდგომარეობიდანაც იპოვა გამოსა-30mo, 8.6 1 მილიონ ლირად შეაფასა... შინაგან საქმეთა მინისტრის magn.



ეს ორი აბალგაზრდა პოლიციელი ინგლისცლი მააბიობი ქალის სიულიდის თაველანისცემლები არ გეგონოო. მათი მოგალგობაა, ქუჩაში ფი გონალი, მათი მოგალგობაა, ქუჩაში დი დებადებს ბადიონ და დაბედები სიულოთღის კაბა, რომელიც გამგალელებგა შეიძლება თვალის დაბამბამებაში გაზაკვირი: მააბიობი ქალის კაბა გაზაკვირი: მააბიობი ქალის კაბა მალიანად ფულისაგან არის შეცერილი; ამ ფულის საერთო თანბა 1000 გარგანქა სტერლინგს შეალიებ.

"ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ" ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲜᲘ

არაერიი ლონდონელი დედალამ იაზე ფექრობა, რომ სენსაცია მოახდინოს და რალაც უველაზე აუბვო- გარი ტეკორდი დაამეაროს; ინგლის ან იუგილოდურად იბადება და მა- შინვე ლავწეტბას ეძლევა უოვლად უაზრო შეგიბრებების ეძლევა უოვლად უაზრო შეგიბრებების ათობით სალაგარდასი კოლაგარი აზიია, ველაზე ბარია აზიია, ველაზე სარიტერესო რეკორდების სია და "სპორტსმენებს» მოუწოდა მობნანა ეს რეკორდების სია და "სპორტსმენებს» მოუწოდა მობნანა ეს რეკორდებია ზაიგიერიი მაგიანანა გარია გარია, და "სპორტსმენებს» მოუწოდა მობნანა ეს რეკორდებია სია და "სპორტსმენებს» მოუწოდა მობნანა ეს რეკორდებია ზაიგიეროი მაფინა

ნემსის უღწწმი ძაფის გაურა. უველაზე მაღავლი მაჩვენებელი — 665გერ ნახევარ საათში; კომვის აგება სკამებით, იმ ბირობით, რომ მისი საფუძვილი ეყოგნობოდეს 8 ფებსრეკორდი — 68 სკამი; მგვიდის ჩოვბურთის შეუჩერებელი პარტია. რეკორდი — 78 საათი; ასამთის ლერის ლატიტა მციტი წაწილებად, რეკორდ — 187 წაწილი; მგზაერების შემედვა მციტილიტიკიან "-წქანაში. რეკორდი — 18 ქაცი.

გარეკანის პირველ გვერდზე; სუნამოების ფაბრიკა "ივერია". ფაბრიკის მთავარი პარფიუმერი ლიანა გახოკიძე, ფოტო ო. თუ რქიასი და ე, პესოვისა, მეოთხე გვერდზე; ვარკეთილის მეურნეობა, ფოტო ო. თუ რქიასი,

რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი,

ილი.
ა. გაგალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
ა. გახალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
ტეტეს გაგოკოდაძე.
სტეტეს გაგოკოდაძე.
სტეტეს გაგოკორი დ. სელიაშვილი, კორექტორი დ. თაბორიძე.

ხაქ. ძპ ცენტრბლური ძომიტეტის გაგომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია ტექრედაქტორი დ. ნუდიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძერედაქციის მიხაშართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III ბართ. ტელ. —რედაქტორის —99-54-66, პ/შგ. მდივნის —99-92-89, განყოფილებების —93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოხული მახალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

20PU 30 993°

ბელმოწერილია დაბაბეჭდად 23/VII-68 წ. გამომც. № 46. ქაღ. ზომა 70 X1081/გ. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ბააგტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 43.700. ზეკვ. № 2850. უე 02368



შ. თელია. მეთევზეები.

